

„ნეონატოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „ნეონატოლოგია“ .

2. სპეციალობის შინაარსი:

„ნეონატოლოგია“ წარმოადგენს პედიატრიის მომიჯნავე, დამოუკიდებელ საექიმო სპეციალობასა და მეცნიერების მიმართულებას, რომელიც სწავლობს ახალშობილის (0-28 დღე)* ფიზიკური და ემოციური ჯანმრთელობის საკითხებს, ბიოლოგიური, სოციალური და გარემო ფაქტორების ზეგავლენას ნაყოფისა და ახალშობილის განვითარებად ორგანიზმზე, მათ პრევენციას; აგრეთვე, ახალშობილის დაავადებებისა და ორგანოთა დისფუნქციის დიაგნოსტიკას, მართვასა და რეაბილიტაციას.

3. ზოგადი ცოდნა:

ნეონატოლოგმა უნდა იცოდეს:

- ა) ოჯახის დაგეგმვა და ორსულთა ჯანმრთელობის სოციალური ასპექტები: რისკის ჯგუფის ორსულების გამოვლენა, ნაყოფის ანტენატალური დაცვის ორგანიზაცია. პერინატალური სიკვდილობის მიზეზები, ახალშობილთა ავადობა და სიკვდილობა. მედიკო-გენეტიკური კონსულტაცია, პრენატალური დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- ბ) ანტე და ინტრანატალური მედიცინა:
 - ბ.ა) ორსულობა;
 - ბ.ბ) ნაყოფის მედიცინა (დიაგნოსტიკა, მართვა);
 - გ) მშობიარობა:
 - გ.ა) მშობიარობის ფიზიოლოგია, მშობიარობის ფაზები. ნაყოფის მდებარეობა, ნაყოფის სხეულის ნაწილის პრეზენტაცია (პათოლოგიური მდებარეობისა და პრეზენტაციის გართულებები);
 - გ.ბ) სამშობიარო ბლოკში ახალშობილის პირველადი რენიმაცია;
 - გ.გ) ფეტალური დისტრესის დიაგნოზი და მენეჯმენტი;
 - გ.დ) ახალშობილის შეფასება აპგარის შკალით;
 - გ.ე) ჭიპლარის დათვალიერება, ჭიპლარის სისხლძარღვების რაოდენობის განსაზღვრა;
 - გ.ვ) პლაცენტის ვიზუალური შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, პლაცენტის პათოლოგიური კვლევის შედეგების გაცნობა/შეფასება;
 - გ.ზ) სამშობიარო ბლოკში ახალშობილის რუტინული მოვლა და პირველადი რენიმაცია; გ.თ) ახალშობილის თერმული კონტროლი - ჰიპოთერმია, ჰიპერთერმია და მათი მართვა;
 - დ) ახალშობილის მოვლა;

დ.ა) ჯანმრთელი, დროული ახალშობილის გასინჯვა, ახალშობილის პირველი ტუალეტი, ანთროპომეტრული მონაცემების აღრიცხვა, ჭიპლარის დამუშავების მეთოდები, ახალშობილზე დაკვირვება;

დ.ბ) ტუბერკულოზისა და B - ჰეპატიტის პროფილაქტიკა, ვაქცინაციის ტექნიკა და უკუჩვენებები;

დ.გ) სამშობიარო სახლის ეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმი. ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ადაპტაციის პერიოდის თავისებურებანი;

დ.დ) მშობლების ინფორმირება და განათლება ახალშობილის კვებისა და მოვლის შესახებ;

ე) რისკის ჯგუფის ახალშობილი:

ე.ა) ორსულობისა და მშობიარობის დეტალური ანამნეზი. ნაყოფის დაზიანების რისკის ხარისხის განსაზღვრა. დროული, დღენაკლული, მცირე მასისა და ვადაგადაცილებული ახალშობილის მართვა;

ე.ბ) საუბრის წარმართვა მაღალი რისკის ჯგუფის ორსულთან, ავადმყოფი ახალშობილის, გარდაცვლილი ახალშობილის მშობლებთან;

ე.გ) პაციენტის ოჯახში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და ფსიქო-სოციალური სტრესების გამოვლენა და მართვა;

ე.დ) ჯანმრთელი და ავადმყოფი ახალშობილის მშობლების ან ახლო ნათესავებისაგან დეტალური ანამნეზის შეკრება;

ე.ე) ანტე, ინტრა და პოსტნატალური პერიოდის თავისებურებების გამოვლენა;

ე.ვ) ახალშობილის ობიექტური გამოკვლევა. სიმპტომების და სინდრომების დროული განსაზღვრა, რომლებიც მოითხოვენ გადაუდებელ დახმარებას. პათოლოგიური მდგომარეობების განვითარების მიზეზები. დიაგნოზის დასადგენად ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა გამოკვლევების დანიშვნა;

ე.ზ) ავადმყოფი ახალშობილის მკურნალობის ტაქტიკა, მათ შორის, ბინაზე. ჰოსპიტალიზაციის ჩვენებები. მისი ორგანიზაცია და ავადმყოფის ტრანსპორტირება როგორც ბინიდან, ისე, სამშობიარო სახლიდან. ეპიდემიოლოგიური და სან-ჰიგიენური ღონისძიებების გატარება;

ე.თ) დღენაკლული ახალშობილის ბლოკის რეანიმაციის სწორად მართვა. დღენაკლული ახალშობილის ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ადაპტაციის პერიოდის თავისებურებების ცოდნა;

ე.ი) მეტაბოლური ადაპტაციის, ნივთიერებათა (წყალ-მარილოვანი, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობა და აირთა, ნახშირწყლების, ლიპიდების, ცილების, მიკროელემენტების, ბილირუბინის და სხვ.) ცვლის თავისებურებები;

ე.კ) დღენაკლულთა ძირითადი პათოლოგიური მდგომარეობები და სინდრომები;

ე.ლ) ვადაგადაცილებული ან დიდი ზომის ახალშობილის შემთხვევაში;

ვ) ახალშობილის სასუნთქი სისტემის თავისებურებები და დაავადებების მართვა: სასუნთქი სისტემის ემბრიონული, ანატომიური და ბიოქიმიური განვითარება; პირველი ჩასუნთქვის მექანიზმი; სურფაქტანტის სინთეზი, სეკრეცია, შემაღვენლობა; სურფაქტანტით მკურნალობა; ვენტილაციურ-პერფუზიული ფარდობა, აირთა დიფუზია; სუნთქვის მექანიკა; ფილტვის ფუნქციური ტესტები, ფილტვის

განვითარების მანკები: ფილტვის თანდაყოლილი ცისტა, ფილტვის ჰიპოპლაზია, ფილტვის აგენეზია-აპლაზია, მწვავე ლობალური ემფიზემა, კარტაგენერის სინდრომი, ფილტვის სეკვესტრაცია, ტრაქეა-საყლაპავი მილის ფისტულა, რესპირატორული დისტრეს სინდრომი: ჰიალინური მემბრანების დაავადება, მეკონიუმის ასპირაციის სინდრომი, პულმონარული ჰიპერტენზია, ახალშობილთა ტრანზიტორული ტაქიპნოე; პნევმონია, პნევმოთორაქსი, პნევმოპერიკარდიუმი, პნევმომედიასტინუმი, ქილოთორაქსი. ბრონქო-პულმონური დისპლაზია. ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია (CMV), მაღალი სიხშირით ოსცილატური ვენტილაცია (HFOV), აზოტის ოქსიდი (NO), ნაზალური ვენტილაცია მუდმივი დადებითი წნევით (NCPAP), ნაზალური ვენტილაცია წყვეტილი დადებითი წნევით (NIPPV), ექსტრაკორპორალური მემბრანული ოქსიგენაცია (ECMO), ლიქვიდ ვენტილაცია;

ზ) გენეტიკა და დისმორფიზმი;

თ) ენტერალური და პარენტერალური კვება;

ი) სითხეები და ელექტროლიტები;

კ) თირკმელი და შარდის გამომყოფი სისტემა - პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მართვა; ლ) მეტაბოლური და ენდოკრინული დაავადებები - პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მართვა;

მ) ბილირუბინის მეტაბოლიზმი, ნაღვლის სეკრეცია, ღვიძლის ფიზიოლოგია, პირდაპირი და არაპირდაპირი ჰიპერბილირუბინემია; სიყვითლით მიმდინარე დაავადებების მართვა;

ნ) ნაყოფისა და ახალშობილის იმუნიტეტი, იმუნოდეფიციტი;

ო) ახალშობილის თანდაყოლილი და შეძენილი ინფექციების დიაგნოსტიკა და მართვა;

პ) კანის, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის და ჭიპის პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მართვა; ჟ) ნერვული სისტემა - პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მართვა;

რ) გულ-სისხლძარღვთა სისტემა - პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მართვა;

ს) საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სისტემა - პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მართვა;

ტ) ჰემატოლოგია - პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მართვა;

უ) კრიტიკული მდგომარეობების ექსპრეს-დიაგნოსტიკა და მართვა;

ფ) კრიტიკული მედიცინის უნარ-ჩვევები: ლორწოს აპარატული ამოქაჩვა; ნაზო- ან ორო- გასტრალური ზონდირება, ლარინგოსკოპია და ტრაქეის ინტუბაცია, ფილტვის ხელოვნური აპარატული ვენტილაცია, ჭიპლარის, პერიფერიული მიდგომით ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია (PICC Line), ვენისა და არტერიის კათეტერიზაცია, სხივის, იდაყვის და ტიბიალური არტერიის კანულაცია. პლევრის ღრუს დრენირება, პერიკარდიოცენტეზი, ლავიწქვეშა ვენის კათეტერიზაცია; ინფუზიური თერაპიის პრინციპები; გულის არაპირდაპირი მასაჟი; ფოტოთერაპია, სისხლის შენაცვლებითი თერაპია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, შარდის ბუშტის სიმფიზისზედა პუნქცია, პლაზმის ნაწილობრივი შენაცვლებითი ტრანსფუზია, თავის ტვინის ვენტრიკულური რეზერვუარის პუნქცია, პერიტონეული დიალიზი;

- ქ) თანდაყოლილი ქირურგიული პათოლოგიის ანტენატალური დიაგნოსტიკა; განვითარების მანკები და დაავადებები, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას ახალშობილობის პერიოდში;
- ღ) ახალშობილთა ორთოპედიული დაავადებები;
- ყ) ახალშობილთა სიმსივნეები;
- შ) თვალის დაავადებები ახალშობილობის პერიოდში;
- ჩ) ახალშობილთა ცხვირის, ხახის, ხორხის და ყურის დაავადებები;
- ც) ახალშობილთა პრეოპერაციული და პოსტოპერაციული მართვა;
- ძ) სედაცია და ანალგეზია ახალშობილებში;
- წ) ნეონატოლოგიური ფარმაცოლოგია: ნეონატოლოგიაში ხშირად გამოყენებადი მედიკამენტების მოქმედების მექანიზმი, უკუჩვენებები, თანამოვლენები; ახალშობილთა გადაუდებელი მდგომარეობების დროს გამოსაყენებელ ფარმაცოლოგიურ საშუალებათა ჩვენებები, დოზირება, მოქმედების მექანიზმი, უკუჩვენებები, თანამოვლენები;
- ჭ) ნეონატოლოგიის ეთიკური და საკანონმდებლო ასპექტები.

4. დაავადებები და მდგომარეობები

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
P01	ნაყოფსა და ახალშობილზე გართულებული ორსულობის გავლენა	მართვა
P02	ნაყოფსა და ახალშობილზე პლაცენტის, ჭიპლარისა და გარსების გართულებული მდგომარეობების გავლენა	მართვა
P03	ნაყოფსა და ახალშობილზე წინა მშობიარობის მიმდინარეობის სხვა გართულებების გავლენა	მართვა
P04	ნაყოფსა და ახალშობილზე პლაცენტით ან ქალის რძით გადაცემული დამაზიანებელი ზემოქმედება	მართვა
P05	ნაყოფის ზრდაში ჩამორჩენა და მალნუტრიცია	მართვა
P07	დარღვევები დაკავშირებული ნაყოფის არასრულ გესტაციასთან და დაბადების მცირე მასასთან, არსად სხვაგან კლასიფიცირებული	მართვა
P08	დარღვევები დაკავშირებული ვადაგადაცილებულ გესტაციასთან და დაბადების დიდ მასასთან	მართვა
P10	ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევა გამოწვეული სამშობიარო ტრავმით	მართვა

P11	სხვა სამშობიარო დაზიანებები დაკავშირებული ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან	მართვა
P12	ქალას სამშობიარო ტრავმა	მართვა
P13	ჩონჩხის სამშობიარო ტრავმა	მართვა
P14	პერიფერული ნერვული სისტემის სამშობიარო ტრავმა	მართვა
P15	სხვა სამშობიარო ტრავმები	მართვა
P20	საშვილოსნოსშიდა ასფიქსია	მართვა
P21	სამშობიარო ასფიქსია	მართვა
P22	რესპირატორული დისტრესი ახალშობილებში	მართვა
P23	თანდაყოლილი პნევმონია	მართვა
P24	ახალშობილთა ასპირაციული სინდრომი	მართვა
P25	ინტერსტიციული ემფიზემა და მსგავსი მდგომარეობები დამახასიათებელი პერინატალური პერიოდისათვის	მართვა
P26	ფილტვში სისხლჩაქცევა განვითარებული პერინატალურ პერიოდში	მართვა
P27	ქრონიკული რესპირატორული დაავადება განვითარებული პერინატალურ პერიოდში	მართვა
P28	სხვა რესპირატორული დარღვევები განვითარებული პერინატალურ პერიოდში	მართვა
P29	კარდიოვასკულარული დარღვევები განვითარებული პერინატალურ პერიოდში	მართვა
P35	თანდაყოლილი ვირუსული ინფექცია	მართვა
P36	ახალშობილთა ბაქტერიული სეფსისი	მართვა
P37	სხვა თანდაყოლილი ინფექციები და პარაზიტული დაავადებები	მართვა
P38	ახალშობილთა ომფალიტი მსუბუქი ჰემორაგიით და მის გარეშე	მართვა
P39	სხვა ინფექციები სპეციფიკური პერინატალური პერიოდისათვის	მართვა

P50	ნაყოფის ჰემორაგია	მართვა
P51	ჭიპლარიდან სისხლდენა ახალშობილებში	მართვა
P52	არატრავმული ჰემორაგია ნაყოფსა და ახალშობილებში	მართვა
P53	ნაყოფისა და ახალშობილთა ჰემორაგიული დაავადება	მართვა
P54	ახალშობილთა სხვა ჰემორაგიები	მართვა
P55	ნაყოფისა და ახალშობილთა ჰემოლიზური დაავადება	მართვა
P56	ნაყოფის წყალმანკი გამოწვეული ჰემოლიზური დაავადებით	მართვა
P57	ბილირუბინული ენცეფალოპათია – კერნიქტერუსი	მართვა
P58	ახალშობილთა სიყვითლე გამოწვეული მასიური სისხლჩაქცევებით	მართვა
P59	ახალშობილთა სიყვითლე გამოწვეული სხვა და დაუზუსტებელი მიზეზებით	მართვა
P60	დისემინირებული სისხლმარღვშიდა კოაგულაციის სინდრომი ახალშობილებში	მართვა
P61	პერინატალური პერიოდის სხვა ჰემატოლოგიური დარღვევები	მართვა
P70	ნახშირწყლოვანი ცვლის ტრანზიტორული დარღვევები სპეციფიკური ნაყოფისა და ახალშობილისათვის	მართვა
P71	კალციუმის და მაგნეზიუმის მეტაბოლიზმის ტრანზიტორული დარღვევა ახალშობილებში	მართვა
P72	სხვა ტრანზიტორული ენდოკრინული დარღვევები ახალშობილებში	მართვა
P74	სხვა ტრანზიტორული ელექტროლიტური და მეტაბოლიზმის დარღვევები ახალშობილებში	მართვა
P75 – P78	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები ნაყოფსა და ახალშობილებში	მართვა
P80 – P83	ნაყოფსა და ახალშობილებში ტემპერატურის რეგულაციის დარღვევებთან დაკავშირებული დარღვევები	მართვა
P90	ახალშობილთა კონვულსიები	მართვა

P91	ცერებრალური სტატუსის სხვა დარღვევები ახალშობილებში	მართვა
P92	კვების პრობლემები ახალშობილებში	მართვა
P93	წამლისმიერი რეაქციები და ინტოქსიკაციები ნაყოფსა და ახალშობილებში გამოწვეული დანიშნული მედიკამენტებით	მართვა
P94	კუნთთა ტონუსის დარღვევები ახალშობილებში	მართვა
P95	ნაყოფის სიკვდილი დაუზუსტებელი მიზეზით	მართვა
P96	პერინატალური პერიოდის სხვა მდგომარეობები	მართვა
P28,5	სუნთქვის მწვავე უკმარისობა	მართვა
I.50.0	გულის უკმარისობა	მართვა
G.93.1	თავის ტვინის ანოქსიური დაზიანება	მართვა
I.61.0	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა	მართვა
N17.0	თირკმლის მწვავე უკმარისობა	მართვა
K.27.0	ღვიძლის მწვავე უკმარისობა	მართვა
R56.8	სხვა დაუზუსტებელი კრუნჩხვები	მართვა
R57.1	ჰიპოვოლემიური შოკი	მართვა
R57.8	სხვა შოკი	მართვა
R57.9	შოკი დაუზუსტებელი	მართვა
G92.0	ტოქსიური ენცეფალოპათია	მართვა
A41.9	სეპტიური შოკი	მართვა
S06.0	ინტრაკრანიალური დაზიანება	მართვა
T29.0	მრავალი მიდამოს დამწვრობა	მართვა
T79.4	ტრავმული შოკი	მართვა
H35.1	დღენაკლულთა რეტინოპათია	მართვა
E03.0	თანდაყოლილი ჰიპოთირეოზი დიფუზური ჩიყვით	მართვა

E03.1	თანდაყოლილი ჰიპოთირეოზი ჩიყვის გარეშე	მართვა
Q00	ანენცეფალია და განვითარების მსგავსი მანკები	მართვა
Q01	ენცეფალოცელე	მართვა
Q02	ჰიდრომიკროცეფალია, მიკროცეფალია	მართვა
Q03	თანდაყოლილი ჰიდროცეფალია	მართვა
Q05	Spina bifida (ხერხემლის არხის არასრული დახურვა)	მართვა
Q06	ზურგის ტვინის სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q20	გულის კამერებისა და დამაკავშირებელი სტრუქტურების თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q21	გულის ძგიდის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q22	ფილტვის არტერიის და სამკარიანი სარქველის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q23	აორტის და მიტრალური სარქველის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q24	გულის სხვა ანომალიები	მართვა
Q25	მსხვილი არტერიების თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q25.0	ღია არტერიული სადინარი	მართვა
Q25.1	აორტის კოარქტაცია	მართვა
Q25.2	აორტის ატრეზია	მართვა
Q25.3	აორტის სტენოზი	მართვა
Q25.4	აორტის სხვა თანდაყოლილი მანკები	მართვა
Q25.6	ფილტვის არტერიის სტენოზი	მართვა
Q25.8	მაგისტრალურ სისლმარღვთა სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q35	სასის ნაპრალი	მართვა
Q36	ტუჩის ნაპრალი	მართვა
Q37	სასის ნაპრალი ტუჩის ნაპრალთან ერთად	მართვა

Q39.0	საყლაპავის ატრეზია ფისტულის გარეშე	მართვა
Q39.1	საყლაპავის ატრეზია ტრაქეა-საყლაპავის ფისტულით	მართვა
Q39.2	ტრაქეა-საყლაპავის თანდაყოლილი ფისტულა ატრეზიის გარეშე	მართვა
Q90	დაუნის სინდრომი	მართვა
Q91	ედვარდსის სინდრომი და პატაუს სინდრომი	მართვა
Q93	მონოსომების და აუტოსომების ნაწილის დაკარგვა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
Q42.2	ანუსის ატრეზია	მართვა
Q41.0	დუოდენალური ატრეზია	მართვა
Q79.3	გასტროშიზისი	მართვა
Q.79.2	ომფალოცელე	მართვა
R.18	ასციტი	მართვა
P. 78.0	სპონტანური ინტესტინალური პერფორაცია	მართვა
P25.2	პნევმომედიასტინუმი	მართვა
P25.1	პნევმოთორაქსი	მართვა
P78.1	პერიტონიტი	მართვა

5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ნეონატოლოგს შეუძლია შემდეგი კლინიკური სინდრომებისა და ლაბორატორიული კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება:

ა.ა) პრენატალური დიაგნოსტიკის შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.ბ) სისხლის, შარდის, განავლის, ნახველის და ლუმბური პუნქტატის კვლევის შედეგების შეფასება;

ა.გ) ბიოქიმიური და სეროლოგიური კვლევის, მიკრობიოლოგიური და იმუნოლოგიური კვლევის შედეგების შეფასება;

ა.დ) კოაგულაციის, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის, აირთა ცვლის, ელექტროლიტების, სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლის, თირკმლის და სხვა შინაგანი ორგანოების ლაბორატორიული კვლევის შედეგების შეფასება;

- ა.ე) ელექტროკარდიოგრამისა და ელექტროენცეფალოგრამის ინტერპრეტაცია;
- ა.ვ) სხვადასხვა ორგანოების და სისტემების ულტრაბგერითი (ნეიროსონოსკოპია, ექოკარდიოგრაფია) კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია; (11.04.2016 N01-15/6)
- ა.ზ) ანგიოგრაფიული კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;
- ა.თ) თავის ქალას, გულ-მკერდის, მუცლის ღრუს რადიოგრაფიული კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;
- ა.ი) ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემების სპეციალიზებული კვლევის აუდიოლოგიური სკრინინგის ინტერპრეტაცია;
- ა.კ) კომპიუტერულ-ტომოგრაფიული და მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის ინტერპრეტაცია;
- ა.ლ) სექციური, ბიოფსიური და ოპერაციული მასალების მორფოლოგიური კვლევის, ექსპრეს-მეთოდების გამოყენების ჩვენებების ცოდნა და შედეგების ინტერპრეტაცია.
- ბ) ნეონატოლოგი ფლობს:
 - ბ.ა) რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის მეთოდებს, ინფუზური თერაპიის პრინციპებს; სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენა-შენარჩუნებას, ოქსიგენოთერაპიას;
 - ბ.ბ) ფოტოთერაპიას, თერაპიულ ჰიპოთერმიას, აზოტის ოქსიდით მკურნალობას;
 - ბ.გ) ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემების სპეციალიზებული კვლევის აუდიოლოგიური სკრინინგის ჩატარებას;
 - ბ.დ) შემდეგი კლინიკური სინდრომების დიაგნოსტიკასა და მართვას:
 - ბ.დ.ა) რესპირატორული დისტრეს სინდრომი;
 - ბ.დ.ბ) გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა;
 - ბ.დ.გ) ფილტვის შეშუპება;
 - ბ.დ.დ) აპნოე, ბრადიკარდია, დესატურაცია;
 - ბ.დ.ე) სეპტიური შოკი;
 - ბ.დ.ვ) თირკმელზედა ჯირკვლის მწვავე უკმარისობა;
 - ბ.დ.ზ) თირკმლის მწვავე უკმარისობა;
 - ბ.დ.თ) დეკომპენსირებული მეტაბოლური/რესპირატორული აციდოზისა და ალკალოზის მართვა;
 - ბ.დ.ი) კრუნჩხვითი სინდრომის მართვა;
 - ბ.დ.კ) ჰემორაგიული სინდრომის მართვა;
 - ბ.დ.ლ) ჰიპერთერმული სინდრომის მართვა;
 - ბ.დ.მ) II-III ხარისხი ექსიკოზის მართვა;
 - ბ.დ.ნ) II-III ხარისხის შეშუპებითი სინდრომის მართვა;
 - ბ.დ.ო) მწვავე ანემიური სინდრომის მართვა;
 - ბ.დ.პ) მწვავე დიფუზური პერიტონიტის მართვა;
 - ბ.დ.ჟ) ასპირაციული სინდრომის მართვა.
- გ) ნეონატოლოგს შეუძლია სამშობიარო ბლოკის პერსონალისთვის აუცილებელი პროცედურების შესრულება:
 - გ.ა) ახალშობილის პირველადი ტუალეტი;

გ.ბა) ჭიპლარისა და ჭიპის ტაკვის დამუშავება;

გ.გ) პერიფერიული ვენაპუნქცია;

გ.დ) ჭიპლარის ვენისა და არტერიის კათეტერიზაცია;

გ.ე) ზედა სასუნთქი გზების, ტრაქეისა და მთავარი ბრონქების სანაცია;

გ.ვ) ტრაქეის ინტუბაცია;

გ.ზ) თორაკოცენტეზი;

გ.თ) გულ-მკერდის პერკუსიული და ვიბრაციული მასაჟი.

დ) ნეონატოლოგს შეუძლია:

დ.ა) ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის ინვაზიური და არაინვაზიური მეთოდების პრაქტიკაში განხორციელება:

დ.ა.ა) ფილტვის მექანიკური ვენტილაცია (CMV);

დ.ა.ბ) მაღალი სიხშირის ოცილატორული ვენტილაცია (HFOV);

დ.ა.გ) ნაზალური კანულით მიწოდებული მაღალი ნაკადის ჰაერი (HFNC);

დ.ა.დ) ნაზალური მუდმივი დადებითი წნევის ნაკადი (CPAP);

დ.ა.ე) ნაზალური წყვეტილი დადებითი წნევის ნაკადი (NIPPV);

დ.ა.ვ) აზოტის ოქსიდით (NO) მკურნალობა;

დ.ა.ზ) ექსტრა კორპორალური სისხლის მიმოქცევა (ECMO);

დ.ბ) ბეჭ-ს და B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

დ.გ) შემდეგი პროცედურების შესრულება:

დ.გ.ა) ლარინგოსკოპია;

დ.გ.ბ) ინტუბაცია;

დ.გ.გ) სურფაქტანტის ინსტალაცია;

დ.გ.დ) ჭიპლარის ვენის კათეტერიზაცია;

დ.გ.ე) ჭიპლარის არტერიის კათეტერიზაცია;

დ.გ.ვ) პერიფერიული ვენაპუნქცია;

დ.გ.ზ) სხივის, იდაყვის და ტიბიალური არტერიის კანულაცია;

დ.გ.თ) ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია (ლავიწქვეშა ვენის);

დ.გ.ი) პერიფერიული მიდგომით ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია (**PICC Line**);

დ.გ.კ) თორაკოცენტეზი;

დ.გ.ლ) პერიტონეალური ღრუს პუნქცია (peritoneal tap);

დ.გ.მ) პერიკარდიუმის ღრუს პუნქცია (pericardial tap);

დ.გ.ნ) პლევრის ღრუს დრენირება;

დ.გ.ო) ლუმბალური პუნქცია;

დ.გ.პ) ნაზო- ან ორო-გასტრალური ზონდირება;

დ.გ.ჟ) ტრანს-პილორული ზონდირება;

დ.გ.რ) შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;

დ.გ.ს) შარდის ბუშტის სიმფიზისზედა პუნქცია;

დ.გ.ტ) სისხლის შენაცვლებითი ტრანსფუზია;

დ.გ.უ) პლაზმის ნაწილობრივი შენაცვლებითი ტრანსფუზია;

დ.გ.ფ) თავის ტვინის ვენტრიკულური რეზერვუარის პუნქცია;

დ.გ.ქ) გულის არაპირდაპირი მასაჟი;

- დ.გ.ღ) ვენური სისხლის აღება;
- დ.გ.ყ) არტერიული სისხლის აღება;
- დ.გ.შ) კაპილარული სისხლის აღება;
- დ.გ.ჩ) სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევისთვის მასალის (მაგ: შარდის, ცერებრო-სპინალური სითხის, პლევრალური ან პერიტონიალური სითხის) შეგროვება;
- დ.დ) მუშაობა სამკურნალო და საკონტროლო-დიაგნოსტიკურ აპარატურასთან:
- დ.დ.ა) კიუვეზები;
- დ.დ.ბ) ელექტროამომწოვი;
- დ.დ.გ) ფოტოთერაპიის აპარატი;
- დ.დ.დ) ინფუზომატი;
- დ.დ.ე) ინვაზიური და არაინვაზიური მონიტორები;
- დ.დ.ვ) ხელოვნური ვენტილაციის აპარატი;
- დ.დ.ზ) ხელოვნური ვენტილაციის კონვენციურ და მაღალი სიხშირის რეჟიმთან მუშაობა;
- დ.ე) მაღალი ნაკადით ნაზალური ვენტილაცია;
- დ.ვ) მუდმივი დადებითი წნევით არაინვაზიური ვენტილაცია;
- დ.ზ) აზოტის ოქსიდის გამოყენება;
- დ.თ) თერაპიული ჰიპოთერმია.

* ნეონატოლოგის კომპეტენცია სრულად ვრცელდება დაბადებისას ძალზედ მცირე მასის (დაბადების მასა <1500გ) და ექსტრემალურად მცირე მასის (დაბადების მასა <1000გ) ახალშობილებზე, როდესაც მათი ჰოსპიტალიზაციის საერთო ხანგრძლივობა სცილდება სიცოცხლის პირველ 28 დღეს.